

## ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის და აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის თაობაზე,

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის  
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და  
პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის თაობაზე,

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის  
თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და  
პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხა და პრივატიზების გეგმის თაობაზე,

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის  
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. სხვადასხვა საკითხები.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა  
განვითარების საკითხთა კომისიის  
სხდომის ოქმი N5**

**ქ.ზუგდიდი**

**31 მაისი 2016 წელი  
11:00 სთ-ზე**

2016 წლის 31 მაისს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ:** თ.მარკოზია, ს.გოგობია, რ.თორდია, მ.წოწერია; ზ.ხუბუა, თ.თორდია, ე.ახალაია, გ.სორდია, ვ.სურმავა, მ.ხვიჩია, რ.ფიფია, ლ.თოდუა.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** გ.ნაჭყებია.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: ნატალია ჰაპასკირი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი თ.ქობალია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი: რ.კილასონია

**სხდომის მდივანი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 13 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

## დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის და აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის თაობაზე,

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის თაობაზე,

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხა და პრივატიზების გეგმის თაობაზე,

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 24 მაისს N02/2278 (სარეგ. N 486/03) შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მომართვა, რომლებიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ პროექტების სიაში დასაფინანსებელი ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების დამატებას კერძოდ, სოფ.კორცხელისა და აბასთუმნის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს :** რ. კილასონიას განმარტებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელისა და ნაცატუს ადმინისტრაციული ერთეულების წყალმომარაგების საკითხი მოწონებულ იქნა 2014 წელს წინა მოწვევის საკრებულოს მიერ, თანხების უკმარისობის გამო 2015 წელს ვერ განხორციელდა ორივე პროექტი ვერ დაფინანსდა და ამოღებულ იქნა კორცხელის წყალმომარაგების საკითხი, ხოლო ნაცატუს პროექტის განსახორციელებლად მოპოვებულ იქნა თანხები, რის შედეგადაც პროექტი განხორციელდა სრულად. ვინაიდან კორცხელის პროექტი დამტკიცებულ იქნა 2014 წელს და ვერ განხორციელდა, 2015 წელს ახალი წესის თანახმად პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

**აზრი გამოთქვეს :** ნ.პაპასკირის განმარტებით კორცხელის წყალმომარაგების ქსელის მოწყობას ხელახლა არ საჭიროებს მოწონებას, რადგან უკვე მოწონებული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს უბრალოდ მოხდება მხოლოდ აღნიშნული საკითხების ცნობის სახით მიღება.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

**დაადგინეს:** საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 25 მაისს N02/2296(სარეგ.N487/03) შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მომართვა, რომლებიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ პროექტების სიაში დასაფინანსებელი ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების დამატებას კერძოდ, სოფ.აბასთუმნის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** რ.კილასონიას განცხადებით სოფ.აბასთუმნის წყალმომარაგების საკითხს, აღნიშნული პროექტი გათვალისწინებული იყო 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებში, თუმცა თანხის უკმარისობის გამო საჭიროა აბასთუმნის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის პროექტი გათვალისწინებულ იქნეს 2016 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების სიაში.

აღნიშნული პროექტი სოფლის რწმუნებულის და დეპუტატის დაჟინებული მოთხოვნით გაკეთდა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის წყაროს წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფას, მაგრამ აღნიშნული წყაროს წყალი დაშრა და საჭიროა ჭაბურღილის გაკეთება. პროექტისთვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი მისი განხორციელებისთვის და დამატებითი თანხების გამოსაყოფად რეგიონალური განვითარების ფონდი ითხოვს საკრებულოს მიერ ამ საკითხის მოწონებას.

**აზრი გამოთქვას:** ნ.პაპასკირმა აღნიშნა: აბასთუმნის წყალმომარაგების სისტემის პროექტი 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში არ იყო შეტანილი, თუმცა ხდება მასში ცვლილების შეტანა და აღნიშნულ პროექტზე ცალკე განკარგულების გამოცემა.

**აზრი გამოთქვას:** რ.კილასონიას განმარტებით, აბასთუმნის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა არის ახალი პროექტი, ვინაიდან 2015 წელს დამტკიცებული პროექტის პირობები და თანხები შეიცვალა, ხოლო კორცხელის პროექტი როგორც აღინიშნა არის წინა მოწვევის საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტი და ითხოვენ ხელახლა მოწონებას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

**დაადგინეს:** საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 19 მაისს N02/2196 (სარეგ, N 466/06) შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მომართვა, რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე .

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვას:** თ. ქობალიას განმარტებით: ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს, რომ საკრებულოს მიერ იქნეს დამტკიცებული საპრივატიზებო ქონების ნუსხა. ამ შემთხვევაში აღნიშნულ ნუსხაში შედის რკინის ცეცხლგამძლე

სეიფები და ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასტუმრო „ანაკლიის“ 75 % -იანი წილის გაყიდვა. ეს მუნიციპალიტეტისთვის არის დამატებითი შემოსავალი, აღნიშნული ქონება შეფასებულია დაახლოებით 7მლნ.ლარად.

**აზრი გამოთქვს:** თ.თორდიას თქმით: ამდენი სეიფები რაში სჭირდებოდა თვითმმართველობას ?

**აზრი გამოთქვს:** თ. ქობალიას განმარტებით: აღნიშნული სეიფები დიდი ხანია რაც თვითმმართველობის ბალანსზეა, შემდეგ მოხდა მათი ჩამოწერა და შეფასება. მათი რაოდენობა დაახლოებით 100 ერთეულია. ზოგიერთი შეფასებულია 100 ლარად, ზოგიერთი კი 75 ლარად. აღნიშნული სეიფები აუქციონზე გატანილი იქნება ცალ-ცალკე ლოტებად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

**დაადგინეს:** საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

თ.მარკოზია